

მატერიალური სუპრანაციონალიზმი ევროპის სამართალში

რატი ბრეგაძე*

1. სუპრანაციონალიზმის ცნება, დამახასიათებელი ნიშნები და სახეები

ორი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინტეგრაცია მშვიდობის დასამყარებლად აუცილებელი წინაპირობა იყო. სწორედ ეს პერიოდი უკავშირდება ერთიანი ევროპის იდეოლოგია ნააზრევისათვის საფუძვლის ჩაყრას, კერძოდ, ომებისა და ნაცისტური ბატონობის ნაცვლად, ერთიანი, დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი ევროპის მშენებლობის დაწყებას. დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო იყო ევროპის ქვეყნების კონსოლიდაციის უზრუნველყოფა საერთო ინტერესების გარშემო, რამაც დღის წესრიგში ფართო უფლებებით აღჭურვილი განსაკუთრებული ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობა დააყენა. სწორედ ასეთ, სუპრანაციონალური ხასიათის ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ ინტეგრაციის საწყის ეტაპზე დაარსებული ევროპული თანამეგობრობები¹. ტერმინი „სუპრანაციონალური“ მომდინარეობს ლათინურიდან – *supra* (მეტი, შორს, ზევით) და *natio* (ხალხი, ერი), რაც ზეეროვნულს, ზესახელმწიფოებრივს ნიშნავს.

სუპრანაციონალიზმი საერთაშორისოსამართლებრივი ცნებაა, რომელიც ძირითადად ევროკავშირისა და ევროპული თანამეგობრობების დახასიათებისას გამოიყენება. ცნება გულისხმობს სახელმწიფოდან ზესახელმწიფოებრივ დონეზე კომპეტენციათა გადაცემას. მისი განსაკუთრებული ხასიათი იმით გამოიხატება, რომ „ორგანიზაციები, რომლებსაც სუპრანაციონალიზმი ახასიათებთ, თავის წევრ სახელმწიფოებზე ზემდგომად გვევლინებიან“.²

ევროპულ თანამეგობრობათა სუპრანაციონალურობის დამახასიათებელი თვისებებია:

1. წევრ სახელმწიფოთა მიერ თანამეგობრობაზე გარკვეულ სუვერენულ უფლებათა გადაცემა;
2. თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა წევრი ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიმართ;
3. თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედება და გამოყენება (შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ);

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი გერმანიაში.

¹ 1. ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული თანამეგობრობა. მისი დამფუძნებელი ხელშეკრულება გაფორმდა 18.04.1951, ძალაში შევიდა 1952 წლის 23 ივლისს (ხელშეკრულების მოქმედების ვადა 50 წლით განისაზღვრა და, შესაბამისად, 2002 წლის 23 ივლისიდან აღნიშნული გაერთიანება აღარ არსებობს); 2. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა. დამფუძნებელ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 25.03.1957, ძალაში შევიდა 01.01.1958. 1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულებით, ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას სახელწოდება „ევროპული თანამეგობრობით“ შეეცვალა; 3. ევროპის ატომური თანამეგობრობა. დამფუძნებელ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 25.03.1957, ძალაში შევიდა 01.01.1958. სამივე თანამეგობრობის თავდაპირველი წევრები იყვნენ: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი.

² Schwantes, Die Supranationalität, Eine Untersuchung internationaler wirtschaftlicher Organisationen Europas im 19. und 20. Jahrhundert, Inaugural-Dissertatin zur Erlangung der Doktorwürde einer Hohen Rechtswissenschaftlichen Fakultät der Universität Köln (Tag der mündlichen Prüfung: 15 Mai 1962), 5.

პარსკეპტივა

4. დამოუკიდებელი ორგანოები (უპირველეს ყოვლისა: კომისია, სასამართლო);
5. ევროპული სასამართლოს დიდი მნიშვნელობა (გადანყვეტილებათა სავალდებულობა და მათი აღსრულება);
6. ევროპული თანამეგობრობის ფინანსური ავტონომია.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც ფლობენ სუპრანაციონალურობისათვის დამახასიათებელ გარკვეულ თვისებებს, მაგრამ ევროპული თანამეგობრობა ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან განსხვავდება იმით, რომ მასში განსაკუთრებით ბევრი სუპრანაციონალური თვისება მაღალი ინტენსიურობით აისახა.

ერთმანეთისაგან განსხვავებენ დეციზიურ (ინსტიტუციურ) და ნორმატიულ სუპრანაციონალიზმს. დეციზიური სუპრანაციონალიზმი ნიშნავს წევრ სახელმწიფოთა დაქვემდებარებას გადანყვეტილებათა მიღების ორგანიზაციის სუპრანაციონალური ხასიათისა და სტრუქტურისადმი (გადანყვეტილებათა მიღება ევროკავშირის საბჭოში ხმათა უმრავლესობით, სამართალშემოქმედებით ფუნქციათა გაყოფა პარლამენტსა და კომისიას შორის); ნორმატიულ სუპრანაციონალიზმში კი გადანყვეტილებათა მიღების ზეეროვნულ პროცესში წარმოქმნილი თანამეგობრობის სამართლის მოქმედების განსაკუთრებული ძალა მოიაზრება.³

2. მატერიალური სუპრანაციონალიზმი და მისი დამახასიათებელი თვისებები

მატერიალური სუპრანაციონალიზმის ელემენტებია წევრ სახელმწიფოებში თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედება და მისი უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებით.

3. თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედება

3.1 თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედების ცნება

მრავალი სირთულე წარმოიქმნება, როდესაც ერთი სამართლის სისტემის ნორმის მოქმედება და გამოყენება სხვა სამართლებრივ სისტემაში ხდება. ამ ტიპის შემთხვევებია, მაგალითად, საერთაშორისო და ეროვნული, ევროპული თანამეგობრობის სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთმიმართების საკითხები.⁴

ევროპული თანამეგობრობის სამართლის ნორმებზე დაკვირვებისას მივხვდებით, რომ მათთვის დამახასიათებელია ის საერთო პრინციპები, რაც სამართლის ნორმებს ახასიათებს, ანუ ისინიც ძალაში უნდა იყვნენ შესულნი, რათა იმოქმედონ. მოქმედების საფუძველზე კი შესაძლებელია მათი გამოყენება კონკრეტული შემთხვევის დასარეგულირებლად.

ევროპის სამართალთან დაკავშირებით გერმანულ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ტერმინი „გამჭოლი მოქმედება“ (*Durchgriffswirkung*), რაც გულისხმობს, რომ თანამეგობრობის სამართლის ნორმები, ეროვნულ სამართალში იმპლემენტაციის გარეშე, წევრ სახელმწიფოებში უშუალოდ მოქმედ სამართალს ქმნიან. თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედება კი გულისხმობს, რომ იგი, საკუთარი ორგანოებისა და წევრი სახელმწიფოების გარდა, ცალკეულ პირებს უშუალოდ ანიჭებს უფლებებს და აკისრებს მოვალეობებს.

³ Schütz/Bruha/König, 2005, 67.

⁴ Klein, Unmittelbare Geltung, Anwendbarkeit und Wirkung von Europäischen gemeinschaftsrecht, *Ress/Will* (Hrsg.), Reden und Berichte aus dem Europa-Institut, Nr. 119, 1988, 9.

ერთ-ერთი არგუმენტი, რითაც ამაგრებენ მოსაზრებას, რომ ევროპული თანამეგობრობების დამფუძნებელმა ხელშეკრულებამ შექმნა დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა და ასევე მისი განმასხვავებელი ნიშანი საერთაშორისო სამართლისაგან, სწორედ ნევრ სახელმწიფოებში თანამეგობრობის სამართლის ნორმათა უშუალო მოქმედებაა. მართალია, სამართლის უშუალო მოქმედების ინსტიტუტი არსებობს საერთაშორისო სამართალშიც, მაგრამ, ძირითადად, მისი სუბიექტები არა ინდივიდები, არამედ სახელმწიფოებია.⁵

უშუალო მოქმედების დოქტრინის პირველადი ფუნქცია უნდა გავიგოთ კლასიკურ საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული სახელმწიფოს მიერ ინდივიდის მედიაციის გადალახვად, რაც ცალკეული პირის სუბიექტად წარმოჩენისკენაა მიმართული.⁶

თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედება მისი დამახასიათებელი არსებითი ნიშანია, რომელიც ინტეგრაციის ინტენსიურობასა და სიღრმეს ასახავს. მაშინ, როდესაც თანამეგობრობის სამართლის წარმოქმნისას ნევრი სახელმწიფოების როლი ევროკავშირის საბჭოში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია, უშუალო მოქმედება უზრუნველყოფს თანამეგობრობის სამართლის დებულებათა დაუბრკოლებელ ნორმატიულ მოქმედებას „შიდასახელმწიფოებრივი ფილტრის“ გარეშე.⁷

უშუალო მოქმედების პრინციპი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამახასიათებელია თანამეგობრობის სამართლის ნორმებისათვის, ხოლო ევროკავშირის მეორე და მესამე სვეტში⁸ განთავსებული სფეროების ფარგლებში გამოცემულ სამართლებრივ ნორმებს არა აქვს ეგრეთ წოდებული გამჭოლი მოქმედება და, აქედან გამომდინარე, ისინი მხოლოდ სახელმწიფოსათვის შესასრულებლად სავალდებულო დებულებებია.

3.2 თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედება თანამეგობრობათა სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე გაბედული ნაბიჯი შეიძლება იყოს, ნევრი სახელმწიფოების თავდაპირველი წინააღმდეგობის მიუხედავად, თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედების პრინციპის დამკვიდრება. ამ საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკის ამოსავალ პუნქტად ითვლება ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოს საკმაოდ ცნობილი ნოვატორული გადაწყვეტილება – *van Gend & Loos/Niederlaendische Finanzverwaltung*, რომელშიც სასამართლომ მიიჩნია, რომ „თანამეგობრობა საერთაშორისო სამართლის ახალი სამართლებრივი სისტემაა, რომლის სასარგებლოდაც სახელმწიფოებმა თავიანთი სუვერენული უფლებები შეზღუდეს, და რომლის სუბიექტიც არა მხოლოდ ნევრი სახელმწიფოები, არამედ ცალკეული პირია. აქედან

⁵ მაგალითად, არსებობს ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ, შესაბამისად, მათი სუბიექტი შეიძლება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სამართლის სუბიექტებიც იყვნენ. საერთაშორისო სამართლის უნიფიკაციის ასეთი თვალსაჩინო მაგალითია გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ (CISG), რომლის პირველი სამი თავი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს და უშუალოდ *per se* მოქმედებს ნევრ სახელმწიფოებში.

⁶ *Nettesheim in Grabitz/Hilf, Das Recht der Europäischen Union, Kommentar der EG/EUV, Band III, EUV/EGV29 Ergänzungslieferung-Stand Dezember 2005, Art. 249, Rn. 34.*

⁷ *Nicolaysen, Europarecht I, Die Europäische Integrationsverfassung, 84.*

⁸ დღეისათვის დამკვიდრებულია ევროკავშირის ეგრეთ წოდებული სამსვეტიანი კონსტრუქცია, პირველში შედის ევროპული თანამეგობრობა და ევროპის ატომური თანამეგობრობა, მეორეში – ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, მესამე სვეტს კი განეკუთვნება პოლიციისა და მართლმსაჯულების თანამშრომლობა სისხლისსამართლებრივ საქმეებთან დაკავშირებით.

გამომდინარე, ეროვნული კანონმდებლობისაგან დამოუკიდებელმა თანამეგობრობის სამართალმა ინდივიდს ისევე უნდა მიანიჭოს უფლებები, როგორც აკისრებს მოვალეობებს. ასეთი უფლებები წარმოიშობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ევროპული თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულება ამომწურავად განსაზღვრავს, არამედ ცალსახა მოვალეობებისაგან, რომლებსაც ხელშეკრულება როგორც ცალკეულ პირებს, ასევე წევრ სახელმწიფოებსა და მათ ორგანოებს აკისრებს”.⁹

თანამეგობრობათა სასამართლო ამ აზრის განვითარება გააგრძელა ასევე შემდგომ გადაწყვეტილებებში იმ გამონაკლისით, რომ „საერთაშორისო სამართლის ახალი სამართლებრივი სისტემის“ ნაცვლად „დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა“ გამოიყენა. განსხვავებით ტრადიციული საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელმა ხელშეკრულებამ შექმნა დამოუკიდებელი სისტემა, რომელიც ძალაში შესვლისას წევრ სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებში იქნა მიღებული და რომელიც უნდა გამოიყენონ ეროვნულმა სასამართლოებმა.¹⁰

სასამართლო უშუალო მოქმედებას ასაბუთებს იმ არგუმენტით, რომ თანამეგობრობის დამფუძნებელმა ხელშეკრულებამ ინდივიდები სუბიექტებად აღიარა, ამავდროულად, მას ემატება ფუნქციური არგუმენტი, რომლის თანახმადაც, უშუალო მოქმედების დოქტრინის დახმარებით თავისი უფლებების დაცვით დაინტერესებულ მოქალაქეებს აქცევს თანამეგობრობის სამართლის მცველებად, რომლებიც წევრ სახელმწიფოებში მის ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფენ.¹¹

ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლომ გადაწყვეტილებაში – *Finanzverwaltung/Simmenthal* – უშუალო მოქმედება წარმოაჩინა თანამეგობრობის სამართლის ერთგვარი და სრული მოქმედების პრინციპის უზრუნველყოფელ საშუალებად. აღნიშნული პრინციპის თანახმადაც, თანამეგობრობის სამართლის დებულებებმა ძალაში შესვლის შემდეგ, მთელი მოქმედების დროს, ყველა წევრ სახელმწიფოში ერთგვაროვანი და სრული მოქმედება უნდა გაავრცელონ

3.3 უშუალო მოქმედება როგორც ევროპული თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამეგობრობის სამართლის თვისება

უშუალო მოქმედება თანამეგობრობის სამართლის დამახასიათებელი ერთადერთი თვისებაა, რომელზეც თავად ხელშეკრულება მიუთითებს. მაგალითად, ევროპული თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების 249-ე მუხლში ნათქვამია, რომ „დადგენილება“¹² მოქმედებს უშუალოდ ყველა წევრ სახელმწიფოში“,¹³ რაც მის ეროვნულ სამართალში იმპლემენტაციის გარეშე, უშუალოდ მოქმედებას გულისხმობს. ეს დებულება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთმიმართების შესახებ ტრადიციულ გაგებას, რომლის თანახმადაც, ინდივიდებისათვის იურიდიული შედეგების გამოსაწვევად საერთაშორისოსამართლებრივი ნორმა შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში უნდა იქნეს ინკორპორირებული.

⁹ EuGH Slg. 1963, 1.
¹⁰ EuGH Slg. 1964, 1251.
¹¹ *Schroeder in Streinz, EUV/EGV Kommentar, Band 57, 2005, 2166, Rn. 37.*
¹² თანამეგობრობის სამართლის აქტი, რომელიც უშუალოდ მოქმედებს წევრ სახელმწიფოებში და შესასრულებლად სავალდებულოა ყველა ნაწილში.
¹³ EGV, Art. 249.

3.4 უშუალო მოქმედებისათვის აუცილებელი კრიტერიუმები

თანამეგობრობის სამართლის ნორმის უშუალო მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ იგი ზოგიერთ კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს. უნდა იყოს:

1. საკმარისად ცალსახა (ნათელი) და ზუსტი (ეხება რეგულირების საგანს - რა არის დარეგულირებული? და ადრესატების წრეს - ვინ არის უფლებამოსილი და ვის ეკისრება ვალდებულება?);

2. სრულყოფილი და შინაარსობრივად უპირობო, გულისხმობს ვადის გასვლას ან არარსებობას და რაიმე სახის დათქმის ან პირობის შეუცვლლობას;

3. უნდა შეიცავდეს ისეთ მოთხოვნას, რომლის შესრულებაც შიდასახელმწიფოებრივი იმპლემენტაციის აქტის გარეშე შესაძლებელი იქნება.

თანამეგობრობათა სასამართლომ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ თავის ფართო პრაქტიკაში თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების მრავალი დებულება უშუალოდ მოქმედად მიიჩნია. მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს მე-12 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვა, საქონლის თავისუფალ მოძრაობასთან, საცხოვრებლის არჩევისა (დაფუძნების) და სამენარმო საქმიანობის თავისუფლებასთან, ბაჟის აკრძალვასა და კონკურენციის სამართალთან დაკავშირებული მუხლები. თანამეგობრობათა სასამართლომ (*Molkerei-Zentrale, Rs.28/67, Slg., 1968*) გადასახადების დისკრიმინაციის აკრძალვა, რომელსაც თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების 90-ე მუხლი შეიცავდა, განმარტა როგორც უშუალოდ მოქმედი ნორმა: „ხელშეკრულების ძირითადი პრინციპებისა და იმ მიზნების მიხედვით, რომელთაც ის ემსახურება, ეს დებულებები, სხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გარეშე, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია.“ ამ ტიპის დებულებები არის უფლებათა და მოვალეობათა უშუალო წყარო ყველასათვის, ვისაც ნორმა ეხება. ყოველი ეროვნული სასამართლო კი, როგორც წევრი სახელმწიფოს ორგანო, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონოდებულია, დაიცვას თითოეულისადმი თანამეგობრობის სამართლის მიერ მინიჭებული უფლებები.

3.5 თანამეგობრობის სამართლის ობიექტური და სუბიექტური მოქმედება

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ობიექტურ და სუბიექტურ მოქმედებას. ობიექტურია მოქმედება, როდესაც უფლებას იძენს, ან მოვალეობა ეკისრება სახელმწიფოებრივი უფლება-მოსილების მქონე სუბიექტს, ხოლო სუბიექტური მოქმედებისას უფლება-მოვალეობათა სუბიექტი ინდივიდია. აქედან გამომდინარე, თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედება შეიძლება გავრცელდეს როგორც ინდივიდისა და სახელმწიფოს ურთიერთობებზე (ვერტიკალური ურთიერთობები), ასევე კერძო პირებს შორის (ჰორიზონტალური ურთიერთობები).

უშუალო მოქმედების პრინციპის გავრცელება კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე ნორმატიული სუპრანაციონალიზმის ყველაზე აშკარა გამოხატულებაა.¹⁴ თანამეგობრობის სასამართლოს შეხედულებით, სახელმწიფოსადმი კუთვნილების მიხედვით განსხვავებული მოპყრობის აკრძალვა მოქმედებს არა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებების აქტების მიმართ, არამედ ვრცელდება ისეთ ღონისძიებებზეც, რომლებიც შრომისა და მომსახურების სფეროში კონკრეტულ რეგულაციებს შეიცავენ. მაგალითად, პიროვნების გადაადგილებისა და

¹⁴ Schütz/Bruha/König, 78.

პარსკეპტივა

მომსახურების თავისუფლება იქნებოდა ხელყოფილი, კერძოსამართლებრივ კავშირებს ან სხვა პირებს, თავიანთი სამართლებრივი ავტონომიის გამო, ამგვარი დაბრკოლებები რომ აღემართათ.¹⁵

3.6 დირექტივის უშუალო მოქმედება

დირექტივა თანამეგობრობის სამართლის აქტია, „რომლის ადრესატები მხოლოდ სახელმწიფოებია“,¹⁶ იგი სავალდებულოა შესასრულებლად მისაღწევი მიზნის ფარგლებში და შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს ანიჭებს იმპლემენტაციის ფორმისა და საშუალების შერჩევის თავისუფლებას.

ვინაიდან, ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 249-ე მუხლის მიხედვით, დირექტივის ადრესატები მხოლოდ სახელმწიფოებია, მას არ შეუძლია იმოქმედოს უშუალოდ წევრ სახელმწიფოებში.

ევროკავშირის სასამართლომ დაუშვა გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც დირექტივამ გარკვეულ წინაპირობათა არსებობისას შეიძლება უშუალოდ იმოქმედოს, თუ იგი მასში განსაზღვრული ვადის განმავლობაში არ იქნა იმპლემენტირებული.¹⁷

დირექტივის უშუალო მოქმედებისათვის აუცილებელი წინაპირობაა, იგი აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რაც საერთოდ თანამეგობრობის სამართლის სხვა ნორმების უშუალო მოქმედებისათვისაა დადგენილი. როგორც აღინიშნა, დირექტივა მიმართულია მხოლოდ სახელმწიფოებზე, რომლებიც ვალდებული არიან, მოახდინონ მისი იმპლემენტირება შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, ამიტომ თანამეგობრობის სამართლის ამ აქტის მოქმედება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, დირექტივა ინდივიდს უშუალოდ არ ანიჭებს უფლებებს და არ აკისრებს მოვალეობებს, რის გამოც „კერძო პირებს შორის ურთიერთობებზე უშუალო მოქმედებას ვერ ავრცელებს“¹⁸ (ჰორიზონტალური მოქმედების უარყოფა). იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფომ დაარღვია ვალდებულება და არ მოახდინა დროული იმპლემენტაცია, მას არ უნდა შეეძლოს თავისი მოქმედებიდან სარგებლის მიღება და კონკრეტული ურთიერთობისას დირექტივის გამოყენება ინდივიდის საწინააღმდეგოდ. თანამეგობრობათა სასამართლოც მიჰყვება ამ მიმართულებას და აღიარებს ინდივიდის უფლებას, გამოიყენოს ნორმა სახელმწიფოს წინააღმდეგ დავის არსებობისას (ვერტიკალური მოქმედება ინდივიდის სასარგებლოდ). დირექტივისაგან განსხვავებით კი, დადგენილება მოქმედებს როგორც ობიექტურად, ასევე სუბიექტურად.

3.7 უშუალო მოქმედების შედეგი

წევრ სახელმწიფოებში თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედების ძირითად შედეგებს განეკუთვნება ინდივიდის აღჭურვა უფლებით – სასამართლოთა წინაშე დაეყრდნოს ამ დებულებებს და ეროვნული სასამართლოების ვალდებულება – შეძლებისდაგვარად არ გამოიყენონ თანამეგობრობის სამართალთან კოლიზიაში მყოფი ეროვნული სამართლის ნორმები.¹⁹

¹⁵ EuGH Slg. 1974, 1405, 1419 f.

¹⁶ EGV, Art. 249.

¹⁷ EuGH Slg 1970, 825, 838; 1974, 1337, 1348 f.; 1979, 1629, 1641 f.; 1982, 53, 70 f.; 1987, 1453, 1466.

¹⁸ EuGH Slg. 1986, 723.

¹⁹ EuGH Slg. 1978, 629.

4. თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა

4.1 თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის ცნება

თანამეგობრობის სამართლის დებულებათა უშუალო მოქმედების გამო ხშირად წარმოიშობა კოლიზია შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსგავს ურთიერთობას ორი სხვადასხვა ნორმა განსხვავებულად არეგულირებს, საჭიროა განისაზღვროს, თუ რომელს ექნება უპირატესი იურიდიული ძალა და, შესაბამისად, რომლის საფუძველზე უნდა გადაიჭრას კონკრეტული დავა. ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლომ 1963 წლიდან განავითარა ნოვატორული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ევროპის თანამეგობრობის სამართლებრივი სისტემა წევრ სახელმწიფოებში ერთგვაროვნად, უშუალოდ და, ამასთან, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიმართ უპირატესად მოქმედებს.

რომის ხელშეკრულებები²⁰ პირდაპირ არ აწესრიგებს ეროვნულ სამართალთან მიმართებით საკუთარი ნორმების პრიორიტეტის საკითხს, რამაც თავდაპირველად შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული მწვავე დისკუსია გამოიწვია. დღეისათვის კი აღნიშნული პრობლემა ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება ამონურულად ჩაითვალოს, ვინაიდან პრიორიტეტის პრეტენზიამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

უპირატესი იურიდიული ძალის პრობლემის გადაჭრის „ევროპული“ გზა იყო იმ ფუნდამენტური დოქტრინის შემუშავება, რომლის მიხედვით თანამეგობრობის სამართალი დამოუკიდებელ, თანამეგობრობის ავტონომიური ხელისუფლებით აღჭურვილ, სამართლებრივ სისტემას წარმოადგენს.²¹ ის დამოუკიდებელია წევრ სახელმწიფოთაგან, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი განსაკუთრებული წესების საფუძველზე საკუთარი თავიდან მომდინარეობს. აღნიშნული აზრი გატარდა გადაწყვეტილებაშიც – *Costa/E.N.E.L.*: ევროპული თანამეგობრობის დამფუძნებელმა ხელშეკრულებამ, ტრადიციული საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, შექმნა საკუთარი სამართლებრივი სისტემა, რომელიც ძალაში შესვლისას წევრ სახელმწიფოთა სამართლებრივმა სისტემებმა მიიღეს და უნდა გამოიყენონ ეროვნულმა სასამართლოებმა.²²

თანამეგობრობის სამართლის პრიორიტეტის აღიარებად შეიძლება მივიჩნიოთ ასევე ევროპული თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების 249-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, რეგლამენტი „შესასრულებლად სავალდებულოა მის ყველა ნაწილში“ და „მოქმედებს ყველა წევრ სახელმწიფოში“. ეს დებულებები მნიშვნელობას იქნებოდა მოკლებული, წევრ სახელმწიფოთა საკანონმდებლო აქტებს უპირატესი იურიდიული ძალა რომ ჰქონოდათ, რაც გარკვეულწილად სამართლებრივ ინტეგრაციაზეც უარყოფითად აისახებოდა.

²⁰ 1957 წლის 25 მარტს რომში ხელმოწერილი და 1958 წლის 1 იანვარს ძალაში შესული ევროპის ატომური თანამეგობრობისა და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულებები.

²¹ *Oppermann*, *Europarecht* 3, 2005, 182, Rn. 2.

²² *EuGH*, *Slg.* 1964, 1251.

4.2 თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის მოცულობა

უპირატესი იურიდიული ძალა აქვს თანამეგობრობის სამართლის ყველა წყაროს,²³ წარმოებული ნორმების ჩათვლით.²⁴

უპირატესობის დეფინიციის საკმაოდ პრობლემურია მისი მოცულობის საკითხი. ჩნდება კითხვა – ვრცელდება იგი მხოლოდ ჩვეულებრივ კანონებზე, თუ კონსტიტუციის დებულებებთან მიმართებითაც შეიძლება ამ დოქტრინის რეალიზება? თანამეგობრობათა სასამართლომ ეს პრობლემაც საერთო ევროპული ინტერესების გათვალისწინებით გადაჭრა და თანამეგობრობის სამართალს უპირატესი იურიდიული ძალა მიანიჭა ეროვნულ სამართალთან, მათ შორის კონსტიტუციურ სამართალსა და ძირითად უფლებებთან, შედარებით.²⁵ იმ შემთხვევაში, თუკი თანამეგობრობის სამართალთან წინააღმდეგობრივ ეროვნული სამართლის დებულებას მიენიჭება უპირატესი ძალა, შესაძლოა, იგი გაიგივდეს იმ ვალდებულებათა შესრულებაზე უარის თქმასთან, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს და, გარდა ამისა, თანამეგობრობის საფუძვლებისა და ძირითადი პრინციპების არსებობას სერიოზული კითხვის ნიშნები დაესმება. თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ თანამეგობრობის სამართალწარმოების ფარგლებში ძირეული კონსტიტუციური პრინციპები და, განსაკუთრებით, ძირითადი უფლებები ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს.²⁶

ფედერაციული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი პრინციპი, რომლის თანახმადაც ფედერაციამ მინების, ხოლო ამ უკანასკნელთ ფედერაციის ინტერესების გათვალისწინებითა და ერთმანეთისადმი კეთილგანწყობით უნდა იმოქმედონ – *mutatis mutandis* გადატანილ უნდა იქნეს ასევე თანამეგობრობის სამართალშიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფედერაციას არ წარმოადგენს. ეროვნული კონსტიტუციები თანამეგობრობის, ხოლო თანამეგობრობის სამართალი წევრ სახელმწიფოთა სამართლისადმი კეთილგანწყობით უნდა განიმარტოს.

4.3 თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

ეროვნულ სასამართლოებს თავდაპირველად უჭირდათ თანამეგობრობათა სასამართლოს უპირატეს იურიდიულ ძალასთან დაკავშირებული დოქტრინის ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ინტეგრირება, დროთა განმავლობაში კი ეს საკითხიც გარკვეულწილად მოწესრიგდა.

თანამეგობრობის სამართლის მიმართება ეროვნულ სამართალთან, გერმანულ მაგალითზე, საკმაოდ რთული საკითხია, რასაც გარკვეულწილად გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთგვაროვანმა პრაქტიკამაც შეუწყო ხელი. საკონსტიტუციო სასამართლო მერყეობდა თანამეგობრობის სამართლის დამოუკიდებელი ხასიათის აღიარების

²³ ევროგაერთიანების სამართლის წყაროებში განასხვავებენ პირველად და წარმოებულ სამართალს. პირველად სამართალს მიეკუთვნება, სიტყვის სრული მნიშვნელობით, თავდაპირველი ნორმები, რომელთა მეშვეობითაც შეიქმნა თანამეგობრობები, მოგვიანებით კი ევროკავშირი და რომლებიც ამჟამად თანამეგობრობათა ორგანოების მოქმედების სამართლებრივ საფუძვლად და ჩარჩოდ გვევლინებიან (დამფუძნებელი ხელშეკრულებები, პროტოკოლები, ორგანოთა წესდებები, საყოველთაო პრინციპები, ჩვეულებები); წარმოებული სამართალი კი ევროპული თანამეგობრობის ორგანოთა მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმებია (დადგენილება, დირექტივა, გადაწყვეტილება, რეკომენდაცია, დასკვნა).

²⁴ Schroeder in *Streinz*, Art. 249, 2169, Rn. 44.

²⁵ EuGH Rs Slg 1970, 1125 ff.

²⁶ *Schmidt in von der Groeben/Schwarze*, Kommentar zum Vertrag über die Europäische Union und zur Gründung der Europäischen Gemeinschaft, Band 4, Art. 189-314, EGV Art.249, 770, Rn. 3.

მზადყოფნასა და საერთაშორისოსამართლებრივ შეხედულებას შორის, რომელსაც „ხელშეკრულებებზე სახელმწიფოთა ბატონობა“ უნდა უზრუნველყო,²⁷ სამოციანი წლების ბოლოს კი ავტონომიურ სამართლებრივ სისტემად აღიარა.

ჩვეულებრივი კანონებისა და თანამეგობრობის სამართლის ურთიერთმიმართების საკითხისაგან განსხვავებით (რომელიც ნაკლებად პრობლემურია – გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო უპირატეს იურიდიულ ძალას თანამეგობრობის სამართლის დებულებებს ანიჭებს), საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული კონსტიტუციურ სამართალთან მიმართება. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ 1974 წელს *Solange I*-ის სახელწოდებით ცნობილ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: სანამ თანამეგობრობის ინტეგრაციის პროცესი იმ დონეზე არაა განვითარებული, რომ თანამეგობრობის სამართალი შეიცავდეს ძირითად უფლებათა კატალოგს, რომელიც ძირითადი კანონის (იგულისხმება გერმანიის კონსტიტუცია) ძირითად უფლებათა კატალოგის ადეკვატური იქნება, თანამეგობრობის სასამართლოში წინასწარი გადაწყვეტილების²⁸ პროცესის ჩატარების შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოში ეროვნული სასამართლოს წარდგინება დაშვებულია, როდესაც იგი ევროპული თანამეგობრობის სასამართლოს მიერ განმარტებულ დებულებას არ მიიჩნევს გამოსაყენებლად, ძირითად უფლებებთან კოლიზიურობის გამო.²⁹ ამ გადაწყვეტილების მიხედვით, კონსტიტუციურ დებულებებს თანამეგობრობის სამართლის ნორმებთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა ჰქონდათ. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ გერმანიის ძირითადი კანონი, მართალია, იძლეოდა სუვერენულ უფლებათა გადაცემის შესაძლებლობას სახელმწიფოთაშორის წარმონაქმნებზე, მაგრამ არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კონსტიტუციის ძირითადი სტრუქტურა შეცვლილიყო მასში ცვლილებების შეტანის გარეშე, სახელდობრ საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლებრივი აქტებით. ძირითადი კანონის მთავარ სტრუქტურას მიეკუთვნება ძირითად უფლებათა ნაწილი და მანამ, სანამ ძირითად უფლებათა დაცვა თანამეგობრობის სამართლის დონეზე კონსტიტუციის შესაბამისი არ გახდებოდა, ეროვნული დანესებულებები და სასამართლოები ევროკავშირის სამართლის ნორმებს არ გამოიყენებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება ერთხმად არ მიღებულა სამი მოსამართლის განსხვავებული აზრის გამო, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონდა ძირითად კანონთან თანამეგობრობის მიერ წარმოებული სამართლის შესაბამისობის დადგენის უფლებამოსილება, რასაც გამოორიცხავდა ის, რომ, თუკი გერმანიამ თანამეგობრობას გარკვეულ სფეროებში სუვერენული უფლებები გადასცა, ამავედროულად ასეთი ორგანოების მიერ გამოცემული სამართლის აღიარებაც უნდა მოეხდინა, რის საფუძველზეც მიუღებელი იყო მისი დაქვემდებარება ეროვნული კონტროლისადმი. განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეთა ჯგუფი თვლიდა, რომ ეროვნულ სამართალთან მიმართებით თანამეგობრობის სამართლის ნორმებს უპირატესი იურიდიული ძალა ჰქონდათ, რაც არა მარტო ჩვეულებრივ კანონებზე, არამედ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებზეც ვრცელდებოდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მწვავე კრიტიკული შენიშვნები არსებობდა, რამაც, გარკვეულწილად, შემდგომ ეგრეთ წოდებულ *Solange II*-ის გადაწყვეტილებაზეც გავლენა მოახდინა, რომლის მიხედვითაც, მანამ, სანამ ევროპული თანამე-

²⁷ *Oppermann*, 183, Rn. 6.

²⁸ თანამეგობრობათა სასამართლოში პროცესის ერთ-ერთი სახე, რომლის ფარგლებშიც ეროვნულ სასამართლოს თანამეგობრობის სამართლის განმარტების დროს ეჭვის არსებობისას შეუძლია მიმართოს შეკითხვით თანამეგობრობათა სასამართლოს. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოები კი ეჭვის შემთხვევაში ვალდებული არიან, მიმართონ ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლოს.

²⁹ *BVerfGE* 37, 271.

გობრობები ძირითად კანონთან მსგავს, ძირითად უფლებათა არსებით დაცვას უზრუნველყოფენ, საკონსტიტუციო სასამართლო აღარ მოახდენს თანამეგობრობის სამართლის ნორმების ძირითად უფლებებთან შესაბამისობის დადგენას.³⁰ ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, მოხდა თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის აღიარება მთელ შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებით.

თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის აღიარების კუთხით *Solange II*-თან მიმართებით უკან გადადგმულ ნაბიჯად ითვლება ეგრეთ წოდებული მასტრიხტის გადაწყვეტილება – *Maastricht Entscheidung*³¹, რომლის მიხედვითაც თანამეგობრობის ორგანოთა მიერ მიღებული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის უშუალო გადასინჯვა შესაძლებლად მიიჩნევა;

თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის საკითხი სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში მეტ-ნაკლებად განსხვავებულადაა დარეგულირებული. საბერძნეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს თანამეგობრობის სამართლის უპირატეს იურიდიულ ძალას მხოლოდ ჩვეულებრივი კანონების მიმართ, „კონსტიტუციურ სამართალთან კი –, გაბატონებული შეხედულების თანახმად, თანამეგობრობის სამართალს უპირატესობა არა აქვს“³²;

ნიდერლანდებსა და ირლანდიაში მას კონსტიტუცია აწესრიგებს. ნიდერლანდებში პრიორიტეტის დოქტრინა შედარებით უპრობლემოა, ვინაიდან კონსტიტუციის 94-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებები არ გამოიყენება, თუ ხელშეკრულებათა საყოველთაოდ სავალდებულო დებულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს ეწინააღმდეგება; სხვა სახელმწიფოებში კი თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის დოქტრინის განმტკიცება და განვითარება ძირითადად სასამართლო პრაქტიკამ მოახდინა, „რისი მეშვეობითაც ხდება არა მარტო ევროპული კავშირის სამართლის ერთგვარი მოქმედების აღიარება, არამედ ხელი ეწყობა ევროპის კავშირის, როგორც სამართლებრივი თანამეგობრობის, განმტკიცებას“.³³

საფრანგეთში *Conseil d'Etat*-მა თავის მრავალ გადაწყვეტილებაში თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა აღიარა;³⁴

იტალიაში თანამეგობრობის სამართლის პრიორიტეტი შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. საკონსტიტუციო სასამართლომ 1973 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მოახდინა თანამეგობრობის სამართლის ავტონომიური ხასიათისა და იტალიურ სამართალთან (ჩვეულებრივი კანონები და არა კონსტიტუცია) მისი უპირატესი იურიდიული ძალის აქცეპტირება;

ბელგიის სასამართლოთა პრაქტიკის მიხედვით, თანამეგობრობათა დამფუძნებელმა ხელშეკრულებებმა ჩამოაყალიბეს ახალი სამართლებრივი სისტემა, რომელთა სასარგებლოდაც ხელშეკრულებით განსაზღვრულ სფეროებში სახელმწიფოებმა შეზღუდეს თავიანთი სუვერენული უფლებები, აქედან კი გამომდინარეობს უშუალოდ მოქმედი თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებით.³⁵

³⁰ BVerfGE 73, 39.

³¹ BVerfGE 89, 155.

³² *Grabenwarter*, „Staatliches Unionsverfassungsrecht“ in *Europäisches Verfassungsrecht*, Theoretische und dogmatische Grundlagen, 2003, 294.

³³ *Nettesheim* in *Grabitz/Hilf*, EGV Art. 249, 20, Rn. 43.

³⁴ *Nicolaysen*, 97.

³⁵ *Umbrach/Clemens* (Hrsg.), *Grundgesetz Mitarbeiterkommentar*, Art. 1-37, 2000, Art. 24.

4.4 თანამეგობრობის სამართლის უპირატესი იურიდიული ძალის შედეგი

თანამეგობრობის სამართლის უპირატესობის იურიდიული შედეგია ის, რომ კოლიზიისას შიდასახელმწიფოებრივი ნორმა არ გამოიყენება. ეროვნული სამართლის დებულებები, რომლებიც თანამეგობრობის სამართალთან შეუსაბამოა, არ არის ბათილი.³⁶ თანამეგობრობათა სასამართლოც ეროვნული დებულების გამოუყენებლობაზე,³⁷ ხოლო გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო საუბრობენ ევროპის სამართლის ნორმის გამოყენების პრიორიტეტზე და არა ეროვნული სამართლის ნორმის ბათილობაზე. თანამეგობრობის წევრი სახელმწიფო ვალდებულია, ნაწილობრივ მაინც შეცვალოს გამოუყენებელი ნორმა, რაც მრავალ შემთხვევაში არ იქნებოდა საჭირო, კოლიზიაში მყოფ თანამეგობრობის სამართალს ეროვნული სამართალი უმოქმედოდ რომ დაეტოვებინა.³⁸ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო თანამეგობრობათა სასამართლოს გამონათქვამმა, რომლის მიხედვითაც პრიორიტეტი „შედარებით ახალი საკანონმდებლო აქტების არსებით განხორციელებას აფერხებს“.³⁹ აღნიშნულმა ფრაზამ, ფაქტობრივად, საფუძველი დაუდო თანამეგობრობის სამართლის „ჩამკეტი მოქმედების“ (*Sperwirkung*) თეორიას, რომლის თანახმადაც დაუშვებელია თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა მიერ თანამეგობრობის სამართალთან წინააღმდეგობრივი სამართლებრივი აქტების გამოშვება. ჩამკეტი მოქმედების თეორიის განვითარებას ხელს უწყობდნენ ასევე ეროვნული სასამართლოები. მაგალითად, ბელგიის *Cour de Cassation*-მა (უმაღლესი სასამართლო) 1971 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ თანამეგობრობის სამართლის ნორმებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ მათზე ახალი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების მიმართ, რაც, შესაბამისად, გულისხმობს, რომ კანონმდებელმა ევროპულ ნორმებთან წინააღმდეგობრივი კანონების გამოცემისაგან თავი უნდა შეიკავოს.

5. დასკვნა

მართალია, სახელმწიფოებმა ერთიანი ევროპის მშენებლობის მიზნით სუვერენიტეტის ნაწილი გადასცეს თანამეგობრობას, მაგრამ დროთა განმავლობაში სულ უფრო გაუჭირდათ გარკვეული საკითხების საერთო ევროპული ინტერესების მიხედვით მოწესრიგება.

მატერიალური სუპრანაციონალიზმის ელემენტების განხილვის შედეგად შეიძლება თამამად ითქვას, რომ მათი უმთავრესი დანიშნულება თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებში ევროპის სამართლის ერთგვაროვანი მოქმედების პრინციპის განმტკიცებით სამართლებრივი ინტეგრაციის უზრუნველყოფაა. ეკონომიკურ და კულტურულ კომპონენტებთან ერთად კი ერთგვაროვანი სამართლის არსებობა ერთიანი ევროპის იდეის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.

თანამეგობრობის სამართლის უშუალო მოქმედებამ და უპირატესმა იურიდიულმა ძალამ შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან მიმართებით, ფართო აღიარება მოიპოვა, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემები და აზრთა სხვადასხვაობა განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებში მაინც მრავლადაა.

³⁶ *Wegener in Calliess/Ruffert*, Kommentar des Vertrages über die Europäische Union und des Vertrages zur Gründung der Europäischen Gemeinschaft, 2002, Art. 220, EGV 1996, Rn. 23.

³⁷ EuGH Slg. 1991, 297, 321.

³⁸ *Jaras*, 3.

³⁹ EuGH Slg. 1978, 629.